პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

2020 წლის ---- ---------- ქ. ბათუმი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა # ------

„ხელმისაწვდომი საცხოვრისით სარგებლობის კრიტერიუმებისა და ბენეფიციართა შერჩევის ინსტრუმენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 თებერვლის №15 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. „ხელმისაწვდომი საცხოვრისით სარგებლობის კრიტერიუმებისა და ბენეფიციართა შერ-ჩევის ინსტრუმენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 თებერვლის №15 განკარგულებაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

ა) განკარგულების დანართი N1-ის - „ხელმისაწვდომი საცხოვრისის კრიტერიუმები“ - მე-2 მუხლის (შერჩევის კრიტერიუმები) მე-2 პუნქტის:

ა.ა) „ე“, „თ“ და „ი“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) ოჯახი არ უნდა მიეკუთვნებოდეს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ იმ ოჯახს, რომლისთვისაც მოქმედი კანონმდებლობით დადგენილია სახელმწიფოს მიერ საარსებო შემწეობის გაცემა;

თ) ოჯახის შემოსავალი უნდა შეადგენდეს ხელმისაწვდომი საცხოვრისისათვის ყოველთვიური შენატანის მინიმუმ სამმაგ ოდენობას;

ი) ოჯახის საერთო შემოსავალი არ უნდა აღემატებოდეს 1 სულიანი ოჯახებისთვის 1200,0 ლარს, 2 სულიანისთვის - 1800,0 ლარს, 3 სულიანისთვის - 2400,0 ლარს, ხოლო 4 და მეტ სულიანისთვის - 3000,0 ლარს (ამ პუნქტის მიზნებისთვის, ხელფასის შემთხვევაში შემოსავალში იგულისხმება ხელზე ასაღები ხელფასი).“.

ა.ბ) „ი“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „კ“ ქვეპუნქტი:

„კ) ოჯახი, რომელიც ბინას ქირაობს, ქირაში არ უნდა იხდიდეს „ხელმისაწვდომი საცხოვრისის“ ყოველთვიური მინიმალური შენატანის სამმაგ ოდენობაზე მეტს.“.

ბ) განკარგულებას მე-2 პუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^1 პუნქტი:

„2^1. პროგრამის „ხელმისაწვდომი საცხოვრისი“ ფარგლებში, პირველი ეტაპის დასრულების (ამ განკარგულების ძალაში შესვლის დროსათვის არსებული 40 საცხოვრებელი ბინის განაწილების) შემდგომ, ახალი საცხოვრისის აშენებისა და პროგრამის გაგრძელების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, პროგრამის პირველ ეტაპზე შედგენილ სარეიტინგო სიაში (აპლიკანტი ოჯახები, რომლებიც აკმაყოფილებენ პროგრამის მინიმალურ კრიტერიუმებს) რეიტინგის მიხედვით შეტანილი ოჯახების პროგრამის კრიტერიუმებთან შესაბამისობა და ქულები გადაისინჯება, ხოლო, ის ოჯახები, რომლებსაც გადასინჯვის შედეგად დაუდგინდებათ

კრიტერიუმებთან შესაბამისობა, მინიჭებული რეიტინგის გათვალისწინებით დაკმაყოფილდებიან.“.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. #30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, რა დროსაც მხარეს წარმოადგენს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **სულიკო თებიძე**

„დამტკიცებულია“

თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის
საკრებულოს განკარგულება
2010 წლის 29 ოქტომბერი №129

განმარტებითი ბარათი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ხელმისაწვდომი საცხოვრისით სარგებლობის კრიტერიუმებისა
და ბენეფიციართა შერჩევის ინსტრუმენტის დამტკიცების შესახებ“
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 თებერვლის
N15 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 თებერვლის №15 განკარგულებით დამტკიცდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული პროგრამის „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი“ ქვეპროგრამით „საცხოვრებელი სახლების მშენებლობა“ გათვალისწინებული საცხოვრებელი სახლით („ხელმისაწვდომი საცხოვრისით“ - ორი ერთეული 5 სართულიანი საცხოვრებელი სახლი, მდებარე ქ. ბათუმში, ჯავახიშვილის ქ. №78ა-ს მიმდებარედ) სარგებლობის კრიტერიუმები და ბენეფიციართა შერჩევის ინსტრუმენტი. ამავე განკარგულებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს დაევალა ხელმისაწვდომი საცხოვრისით მოსარგებლეთა შერჩევის პროცესის დაწყების მიზნით, განკარგულებით დამტკიცებული კრიტერიუმებისა და ბენეფიციართა შერჩევის ინსტრუმენტის მიხედვით, უზრუნველყოს შემდგომი პროცედურების განხორციელება - დაინტერესებულ პირთა განცხადებების მიღების, განხილვის, ბენეფიციართა შერჩევის და ბენეფიციარებისთვის საცხოვრებელი ბინების გადაცემის მარეგულირებელი შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება და საკრებულოსთვის დასამტკიცებლად წარდგენა.

2019 წლის 19 სექტემბერს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო N73 განკარგულება „მუნიციპალური პროგრამის „ხელმისაწვდომი საცხოვრისი“ განხორციელების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“, რომლითაც დადგინდა, რომ: დამტკიცებული სარგებლობის კრიტერიუმებისა და ბენეფიციართა შერჩევის ინსტრუმენტის საფუძველზე მოხდეს პროგრამით მოსარგებლეთა შერჩევა და მათთვის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით 15 წლის ვადით საცხოვრებელი ბინების გადაცემა, ბინის თვითღირებულების ქირის სახით დაფარვის სანაცვლოდ, ხოლო, იმ ოჯახებთან დაკავშირებით, ვინც სრულად და ჯეროვნად შეასრულებს მუნიციპალიტეტის წინაშე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2019 წლის 05 სექტემბრის №350 ბრძანებით გაცემული ადმინისტრაციული დაპირების გათვალისწინებით, მოხდეს საცხოვრებელი ბინების საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ დადგენილი წესით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემა პოზიტიური პირობით (გადაცემის ფასის, ქონების მიმღების, ქონების

საიდენტიფიკაციო მონაცემების მითითებით) და განხორციელდეს აღნიშნული ოჯახებისათვის საცხოვრებელი ბინების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მიერ სიმბოლურ ფასად (ერთი ლარი) საკუთრების უფლებით გადაცემა. ამავე განკარგულებით მუნიციპალიტეტის მერიას დაევალა პროგრამის ფარგლებში განაცხადების მიღების და დასრულების დროის განსაზღვრა, შესაბამისი აუცილებელი ფორმების შემუშავება, დაინტერესებული პირების მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალის, განაცხადების მიღებაზე და პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრა და სხვა საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

მერიის მიერ პროგრამის ფარგლებში სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადების პარალელურად, მიმდინარეობდა საცხოვრებელი სახლების შეფასება (თვითღირებულების დადგენა) და საცხოვრებელი ბინების მიხედვით ბენეფიციართა მიერ ყოველთვიურად გადასახდელი თანხების დაანგარიშება.

დღეისათვის ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის მიერ მომზადებულია ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტების პროექტები პროგრამის განხორციელების წესების, პირობებისა და აუცილებელი ფორმების შესახებ, ასევე, მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურმა უზრუნველყო პროგრამის ფარგლებში აშენებული საცხოვრებელი სახლების შეფასება (თვითღირებულების დადგენა) და საცხოვრებელი ბინების მიხედვით ბენეფიციართა მიერ ყოველთვიურად გადასახდელი თანხების დაანგარიშება და შესაბამისი განკარგულების პროექტის მომზადება. აღნიშნულ პროცესში, მათ შორის ბინების თვითღირებულების გათვალისწინებით, გამოვლინდა პროგრამით სარგებლობის ზოგიერთი კრიტერიუმის (მინიმალური) დაზუსტება/დამატების საჭიროება.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია შეტანილ იქნას ცვლილებები „ხელმისაწვდომი საცხოვრისით სარგებლობის კრიტერიუმებისა და ბენეფიციართა შერჩევის ინსტრუმენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 თებერვლის N15 განკარგულებაში.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

წინამდებარე პროექტის მიღების ძირითადი არსია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია შეტანილ იქნას ცვლილებები „ხელმისაწვდომი საცხოვრისით სარგებლობის კრიტერიუმებისა და ბენეფიციართა შერჩევის ინსტრუმენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 თებერვლის N15 განკარგულებაში ცვლილებების შეტანა.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე პროექტის განხორციელება გავლენას არ მოახდენს.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო;

სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი;

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაცია;

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური;

ე) პროექტის ავტორი:
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერიის მუნიციპალური პოლიტიკის
სამსახურის უფროსი

ეთერ ლომაძე